საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)

2017

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა
(სეს ესნ)

მუხლი 1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის არსი

1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) მომზადებულია „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციის საფუძველზე. აღნიშნული ნომენკლატურა დეტალიზებულია თერთმეტი ნიშნით, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) გამოიყენება საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისათვის, ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების, აკრძალვებისა და შეზღუდვების ღონისძიებების განსახორციელებლად, სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის.

3. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განისაზღვრება საქონლის შემდეგი ჯგუფები:

	კარი I **ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები**
	შენიშვნები I კარისთვის
ჯგუფი 01	ცოცხალი ცხოველები
ჯგუფი 02	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები
ჯგუფი 03	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები
ჯგუფი 04	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
ჯგუფი 05	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
	კარი II **მცენარეული წარმოშობის პროდუქტები**
	შენიშვნები II კარისთვის
ჯგუფი 06	ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი
ჯგუფი 07	ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები
ჯგუფი 08	საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი; ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი
ჯგუფი 09	ყავა, ჩაი, მატე (პარაგვაის ჩაი) და სანელებლები
ჯგუფი 10	მარცვლოვანები
ჯგუფი 11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა
ჯგუფი 12	ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი
ჯგუფი 13	შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; გუმფისები, ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები
ჯგუფი 14	მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
	კარი III **ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები**
ჯგუფი 15	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები

	კარი IV **კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები**
	შენიშვნები IV კარისთვის
ჯგუფი 16	მზა საკვები პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან
ჯგუფი 17	შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 18	კაკაო და პროდუქტები მისგან
ჯგუფი 19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლისა ან რძისაგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 20	ბოსტნეულის, ხილის, კაკლისა ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები
ჯგუფი 21	კვების სხვადასხვა პროდუქტები
ჯგუფი 22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი
ჯგუფი 23	კვების მრეწველობის მონარჩენები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისთვის
ჯგუფი 24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები
	კარი V **მინერალური პროდუქტები**
ჯგუფი 25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
ჯგუფი 26	მადნები, წიდა და ნაცარი
ჯგუფი 27	მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები
	კარი VI **ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია**
	შენიშვნები VI კარისთვის
ჯგუფი 28	არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ძვირფასი ლითონების, იშვიათი მიწათა ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ან იზოტოპების არაორგანული ან ორგანული ნაერთები
ჯგუფი 29	ორგანული ქიმიური ნაერთები
ჯგუფი 30	ფარმაცევტული პროდუქცია
ჯგუფი 31	სასუქები
ჯგუფი 32	სათრიმლავი ან საღებავი ექსტრაქტები; ტანინები და მათი წარმოებულები; საღებარები, პიგმენტები და დანარჩენი საღებარი ნივთიერებები; საღებავები და ლაქები; ფითხები და სხვა მასტიკები; პოლიგრაფიული საღებავი, მელნები, ტუში
ჯგუფი 33	ეთერზეთები და რეზინოიდები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები
ჯგუფი 34	საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, სარეცხი საშუალებები, საპოხი მასალები, ხელოვნური და მზა ცვილები, საწმენდი და საპრიალებელი შემადგენლობები, სანთლები და ანალოგიური ნაწარმი, საძერწი პასტები, პლასტილინი, ,,კბილსამკურნალო ცვილი'' და შემადგენლობები თაბაშირის საფუძველზე კბილსამკურნალო მიზნებისათვის
ჯგუფი 35	ცილოვანი ნივთიერებები; მოდიფიცირებული სახამებლები; წებოები; ფერმენტები
ჯგუფი 36	ფეთქებადი ნივთიერებები; პიროტექნიკური ნაწარმი; ასანთი; პიროფორული შენადნობები; ზოგიერთი საწვავი ნივთიერებები
ჯგუფი 37	ფოტო- და კინოსაქონელი
ჯგუფი 38	დანარჩენი ქიმიური პროდუქტები
	კარი VII **პლასტმასები და მათი ნაწარმი;** **კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი**
	შენიშვნები VII კარისთვის
ჯგუფი 39	პლასტმასები და მათი ნაწარმი
ჯგუფი 40	კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი
	კარი VIII **დაუმუშავებელი ტყავები, გამოქნილი ტყავი, ნატურალური ბეწვი და მათი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა)**

ჯგუფი 41	დაუმუშავებული ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი
ჯგუფი 42	ტყავის ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა)
ჯგუფი 43	ნატურალური და ხელოვნური ბეწვი; მათი ნაწარმი
	კარი IX **მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა მასალის წნული; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი**
ჯგუფი 44	მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი
ჯგუფი 45	კორპი და მისი ნაწარმი
ჯგუფი 46	ჩალის, ალფის და სხვა დასაწნავი მასალების ნაწარმი; კალათები და მოწნული ნაწარმი
	კარი X **მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი**
ჯგუფი 47	მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები)
ჯგუფი 48	ქაღალდი და მუყაო; ნაწარმი ქაღალდის მასის, ქაღალდის ან მუყაოსაგან
ჯგუფი 49	ნაბეჭდი წიგნები, გაზეთები, რეპროდუქციები და პოლიგრაფიული მრეწველობის სხვა ნაწარმი; ხელნაწერები, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტები და გეგმები
	კარი XI **ტექსტილის (საფეიქრო) მასალები და ტექსტილის ნაწარმი**
	შენიშვნები XI კარისთვის
ჯგუფი 50	აბრეშუმი
ჯგუფი 51	მატყლი, ცხოველების წმინდა და უხე-ში ბეწვი, ნართი და ქსოვილი ცხენის ძუისგან
ჯგუფი 52	ბამბა
ჯგუფი 53	დანარჩენი მცენარეული ტექსტილის ბოჭკო; ქაღალდის ნართი და ქაღალდის ნართის ქსოვილები
ჯგუფი 54	ქიმიური ძაფები; ბტყელი და მისგვარი ძაფები ქიმიური ტექსტილის მასალებისგან
ჯგუფი 55	ქიმიური ბოჭკოები
ჯგუფი 56	ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები; სპეციალური ნართი; ბაწრები, თოკები, ბაგირები და გვარლები და მათი ნაწარმი
ჯგუფი 57	ხალიჩები და იატაკის დანარჩენი ტექსტილის საფარები
ჯგუფი 58	სპეციალური ქსოვილები; ტაფტინგური ტექსტილის მასალები; მაქმანები; გობელენები; გასაწყობი მასალები; ნაქარგები
ჯგუფი 59	ტექსტილის მასალები, გაჟღენთილი, დაფარვითა ან დუბლირებული; ტექნიკური დანიშნულების ტექსტილის ნაწარმი
ჯგუფი 60	ტრიკოტაჟის ტილოები მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 61	ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმელის საკუთნოები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 62	ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნოები, გარდა ტრიკოტაჟისაგან, მანქანით ან ხელით ნაქსოვი
ჯგუფი 63	ტექსტილის დანარჩენი მზა ნაწარმი; ნაკრებები; ნახმარი ტანსაცმელი და ტექსტილის ნაწარმი; ძონძები
	კარი XII **ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხ-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან**
ჯგუფი 64	ფეხსაცმელები, გეტრები და ანალოგიური ნაწარმი; მათი ნაწილები
ჯგუფი 65	თავსაბურავები და მათი ნაწილები
ჯგუფი 66	ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები,ხელჯოხები, ხელჯოხ-საჯდომები, შოლტები, მათრახები ცხენოსნობისათვის და მათი ნაწილები
ჯგუფი 67	დამუშავებული ნაკრტენი და ბუმბული და მათი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან
	კარი XIII **ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი**

ჯგუფი 68	ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი
ჯგუფი 69	კერამიკული ნაწარმი
ჯგუფი 70	მინა და მისი ნაწარმი
	კარი XIV **მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები**
ჯგუფი 71	მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები
	კარი XV **არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი**
	შენიშვნები XV კარისთვის
ჯგუფი 72	შავი ლითონები
ჯგუფი 73	შავი ლითონების ნაწარმი
ჯგუფი 74	სპილენძი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 75	ნიკელი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 76	ალუმინი და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 77	(რეზერვირებულია მომავალში ჰარმონიზებულ სისტემაში შესაძლო გამოყენებისთვის)
ჯგუფი 78	ტყვია და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 79	თუთია და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 80	კალა და ნაკეთობები მისგან
ჯგუფი 81	დანარჩენი არაძვირფასი ლითონები; ლითონკერამიკა; მათი ნაწარმი
ჯგუფი 82	ინსტრუმენტები, სამარჯვები, დანისებრი ნაწარმი, კოვზები და ჩანგლები არაძვირფასი ლითონებისაგან; მათი ნაწილები არაძვირფასი ლითონებისაგან
ჯგუფი 83	დანარჩენი ნაწარმი არაძვირფასი ლითონებისგან
	კარი XVI **მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტროტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა; სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებლი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები**
	შენიშვნები XVI კარისთვის
ჯგუფი 84	ბირთვული რეაქტორები, ორთქლის ქვებები (ბიოლერები), დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები
ჯგუფი 85	ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებისა და ბგერის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები
	კარი XVII **მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და დანადგარები**
	შენიშვნები XVI კარისთვის
ჯგუფი 86	რკინიგზის ლოკომოტივები ან ტრამვაის ძრავიანი ვაგონები, მოძრავი შემადგენლობა და მათი ნაწილები; საგზაო დანადგარები და მოწყობილობები რკინიგზისა ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის და მათი ნაწილები; ყველა სახის მექანიკური (ელექტრომექანიკურის ჩათვლით) სასიგნალო მოწყობილობები
ჯგუფი 87	მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, რკინიგზისა ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობის გარდა; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 88	საფრენი აპარატები, კოსმოსური აპარატები და მათი ნაწილები
ჯგუფი 89	გემები, ნავები და მცურავი კონსტრუქციები
	კარი XVIII **ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები**
ჯგუფი 90	ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 91	ყველა სახის საათები და მათი ნაწილები

ჯგუფი 92	მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები
	კარი XIX **იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები**
ჯგუფი 93	იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები
	კარი XX **სხვადასხვა სამრეწველო საქონელი**
ჯგუფი 94	ავეჯი; ლოგინის საკუთნოები, ლეიბები, ლეიბის ფუძეები, დივანის ბალიშები და ავეჯის ანალოგიური ნატენი საკუთნოები; ლამპები და სანათი მოწყობილობები, სხვა ადგილას და-უსახელებელი ან ჩაურთველი; მნათი მაჩვენებლები, მნათი ტაბლოები სახელით ან დასახელებით, ან მისამართით და ანალოგიური ნაწარმი; ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციები
ჯგუფი 95	სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები
ჯგუფი 96	სხვადასხვა მზა ნაწარმი
	კარი XXI **ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი**
ჯგუფი 97	ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი
	კარი XXII **კლასიფიკაციის განსაკუთრებული პირობები;** **საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;**
	შენიშვნები XXII კარისათვის
ჯგუფი 98	კლასიფიკაციის განსაკუთრებული პირობები;
ჯგუფი 99	საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის

მუხლი 2. ზომის ერთეულები

1. საქონლის რაოდენობის ძირითად ზომის ერთეულს სეს ესნ-ის ყველა პოზიციისათვის წარმოადგენს მასის ერთეული – კილოგრამი.

2. საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის, ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების, აკრძალვებისა და შეზღუდვების რეგულირების (ლიცენზირება, კვოტირება და სხვა), სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნებისათვის, ასევე გამოიყენება, ნომენკლატურის მესამე გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულები.

3. ცხრილში მოყვანილია სეს ესნ-ში გამოყენებული ზომის ერთეულები, მათი პირობითი აღნიშვნები და კოდები.

ზომის ერთეულის დასახელება	**პირობითი აღნიშვნა**	**ზომის ერთეულის კოდი**
ზომის ერთეული		
კილოგრამი	კგ	166
დამატებითი ზომის ერთეული		
ბრუტო-რეგისტრული ტონა (2,8316 მ³)	ბრტ	181
გრამი	გ	163
გრამი გაყოფადი იზოტოპებისა	გ გ/ი	306
ტვირთამწეობა ტონებში	ტ ტვა	185
კვადრატული მეტრი	მ²	55
კილოგრამი აზოტისა	კგN	861
კილოგრამი კალიუმის ჰიდროქსიდისა	კგKOH	859

კილოგრამი ნატრიუმის ჰიდროქსიდისა	კგNaOH	863
კილოგრამი კალიუმის ოქსიდისა	კგK2O	852
კილოგრამი წყალბადის პეროქსიდისა	კგH2O2	841
კილოგრამი ფოსფორის ხუთჟანგისა	კგP2O5	865
კილოგრამი 90%-ით მშრალი ნივთიერებებისა	კგ90% მ/ნ	845
კილოგრამი ურანისა	კგU	867
კუბური მეტრი	მ³	113
კიური	კი	305
ლიტრი	ლ	112
მილილიტრი	მლ	115
ლიტრი სუფთა (100 %) სპირტი	ლ100% სპირტი	831
მეტრი	მ²	6
მეტრული კარატი (1 კარატი $2*10^{-4}$ კგ)	კარ	162
წყვილი	წყვ	715
ასი ცალი	100 ცლ	797
ათასი ცალი	1000 ცლ	798
ცალი	ცლ	796
1000 კილოვატ-საათი	1000კვტ.სთ	246
1000 კუბური მეტრი	1000 მ³	114
1000 ლიტრი	1000 ლ	130

მუხლი 3. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები

1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში (სეს ესნ) საქონლის კლასიფიკაცია უნდა ხორციელდებოდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. კარების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სახელწოდებები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციის ძიების გასაადვილებლად. იურიდიული მიზნებისთვის, საქონლის კლასიფიკაცია განისაზღვრება სასაქონლო პოზიციების ტექსტების მიხედვით და შესაბამისი კარისა და ჯგუფის შენიშვნებით და, თუ ამ ტექსტებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შემდეგი დებულებების შესაბამისად:

ა) სასაქონლო პოზიციის დასახელებაში ნებისმიერი მითითება საქონელზე უნდა განიხილებოდეს, მათ შორის, როგორც მითითება ასეთ საქონელზე დაუკომპლექტებელი ან დაუმთავრებელი სახით, იმ პირობით, რომ არსებული სახით დაუკომპლექტებელი ან დაუმთავრებელი საგანი დაკომპლექტებული ან დამთავრებული საგნის ნიშან-თვისებების მატარებელია. ასევე, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც მითითება იმ საგანზე, როგორც დაკომპლექტებულსა და დამთავრებულზე (ან მოექცეს კლასიფიკაციაში, როგორც

დაკომპლექტებული ან დამთავრებული, ამ წესის ძალით), თუ წარმოდგენილია აუწყობელ ან დაშლილ მდგომარეობაში;

ბ) სასაქონლო პოზიციის დასახელებაში ნებისმიერი მითითება მასალაზე ან ნივთიერებაზე უნდა განიხილებოდეს, მათ შორის, როგორც მითითება ამ მასალის ან ნივთიერების ნაერთებზე ან ნარევებზე სხვა მასალებსა და ნივთიერებებთან. ნებისმიერი მითითება საქონელზე, რომელიც დამზადებულია მოცემული მასალისგან ან ნივთიერებისგან, უნდა განიხილებოდეს, როგორც მითითება საქონელზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ასეთი მასალის ან ნივთიერებისაგან. ერთზე მეტი მასალისგან ან ნივთიერებისგან შემდგარი საქონლის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის დებულებების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ან სხვა მიზეზით საქონელი, გარეგნულად შეიძლება მიეკუთვნოს ორ ან მეტ სასაქონლო პოზიციას, ასეთი საქონლის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) სასაქონლო პოზიციას, რომელიც იძლევა საქონლის ყველაზე უფრო კონკრეტულ აღწერას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სასაქონლო პოზიციებთან შედარებით, რომლებიც იძლევიან საქონლის შედარებით ზოგად აღწერას. თუმცა, თუ ორი ან მეტი სასაქონლო პოზიციათაგან ყოველი მიუთითებს ნარევებში ან მრავალკომპონენტიან ნაკეთობებში შემავალი მასალების ან ნივთიერებების მხოლოდ ნაწილზე, ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ნაკრებებში წარმოდგენილი საქონლის მხოლოდ ცალკეულ ელემენტზე, მაშინ ასეთი სასაქონლო პოზიციები უნდა განიხილებოდეს, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი ამ საქონელთან მიმართებაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მათგანი საქონლის უფრო სრულ ან ზუსტ აღწერას იძლევა;

ბ) საქონლის ნარევები, სხვადასხვა მასალებისგან ან სხვადასხვა კომპონენტებისგან შემდგარი მრავალკომპონენტიანი საქონელი და საცალო გაყიდვისთვის განკუთვნილ ნაკრებში წარმოდგენილი საქონელი, რომელთა კლასიფიკაციაც არ შეიძლება განხორციელდეს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათავლისწინებული წესის მიხედვით, კლასიფიცირებული უნდა იქნეს იმ მასალების ან შემადგენელი ნაწილების მიხედვით, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ მოცემული საქონლის ხასიათს, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ამ კრიტერიუმის გამოყენება.

გ) საქონელი, რომლის კლასიფიკაცია არ შეიძლება განხორციელდეს ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, კლასიფიცირებულ უნდა იქნას მოცემული საქონლის კლასიფიკაციისას თანაბრად გამოსაყენებელ სასაქონლო პოზიციებს შორის კოდების ზრდის რიგში ბოლო ადგილზე მოთავსებული სასაქონლო პოზიციით.

4. საქონელი, რომლის კლასიფიკაცია არ შეიძლება განხორციელდეს ზემოაღნიშნული წესების მიხედვით, კლასიფიცირებული უნდა იქნეს იმ სასაქონლო პოზიციით, რომელიც შეესაბამება განსახილველი საქონლის ყველაზე მსგავს (მასთან ყველაზე ახლოს მდგომ) საქონელს.

5. გარდა ზემოთ მოყვანილი დებულებებისა, ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელთან მიმართებაში გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) შალითები და ფუტლიარები ფოტოაპარატების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ცეცხლსასროლი იარაღის, სახაზავი ნივთების, სამკაულებისთვის და განსაკუთრებული ფორმის ანალოგიური ტარა (შესაფუთი), განკუთვნილი შესაბამისი ნაკეთობის ან ნაკეთობათა ნაკრებების შესანახად, და გამოსადეგია ხანგრძლივი ვადით გამოყენებისთვის და წარმოდგენილია იმ ნაკეთობებთან ერთად, რომლების შენახვისთვისაც არის განკუთვნილი, კლასიფიცირებული უნდა იქნეს მათში შეფუთულ ნაკეთობასთან ერთად. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება იმ ტარის (შეფუთვის) მიმართ, რომელიც, ქმნის რა ერთ მთლიანს შეფუთულ ნაკეთობასთან ერთად, ანიჭებს ამ უკანასკნელს არსებითად განსხვავებულ ხასიათს.

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის დებულებების შესაბამისად, საქონელთან ერთად წარმოდგენილი შესაფუთი მასალები ან შესაფუთი კონტეინერები, კლასიფიცირებული უნდა იქნენ ერთობლივად, თუ მათ აქვთ ისეთი სახე, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ასეთი საქონლის შესაფუთად. თუმცა, ამ დებულების გამოყენება არ არის სავალდებულო, თუკი სავსებით ცხადია, რომ ასეთი შესაფუთი მასალები ან შესაფუთი კონტეინერები ვარგისია განმეორებით გამოყენებისთვის.

6. იურიდიული მიზნებისთვის, საქონლის კლასიფიკაცია რომელიმე სასაქონლო პოზიციის სუბპოზიციებში ხორციელდება ასეთი სუბპოზიციების დასახელებების და სუბპოზიციებთან დაკავშირებული შენიშვნების, ასევე mutatis mutandis, ზემოთ მოყვანილი წესების დებულებათა შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხოლოდ ერთსა და იმავე დონის სუბპოზიციებია შესადარისი. მოცემული წესის მიზნებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე შენიშვნები შესაბამისი კარისა და ჯგუფისთვის, თუ კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარად.

კარი I
ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები

შენიშვნები:

1. ამ კარში ნებისმიერი მითითება ცხოველის კონკრეტულ გვარზე ან ჯიშზე, მოიცავს მითითებას ამ გვარისა და ჯიშის ახალგაზრდა ცხოველებზეც, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. მთელ ნომენკლატურაში ტერმინი „გამომშრალი“ პროდუქტი, ნიშნავს აგრეთვე პროდუქტს, რომელმაც განიცადა დეჰიდრატაცია, ამოორთქვლა და სუბლიმაციური შრობა, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ჯგუფი 01
ცოცხალი ცხოველები

1. ეს ჯგუფი მოიცავს ყველა ცოცხალ ცხოველს, გარდა:

ა) 0301, 0306, 0307 ან 0308 სასაქონლო პოზიციებში ჩამოთვლილი თევზისა და კიბოსებრთა, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოებისა;

ბ) 3002 სასაქონლო პოზიციის მიკროორგანიზმების და სხვა პროდუქტების კულტურებისა; და

გ) 9508 სასაქონლო პოზიციის ცხოველებისა

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
0101	**ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:**	
	– ცხენები:	
0101 21 000 00	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
0101 29	– – დანარჩენი:	
0101 29 100 00	– – – საკლავი	ცალი

0101 29 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0101 30 000 00	– ვირები	ცალი
0101 90 000 00	– დანარჩენი	ცალი
0102	**მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი:**	
	– შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი:	
0102 21	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები:	
0102 21 100 00	– – – უშობლები (დედალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი პირველ მოგებამდე)	ცალი
0102 21 300 00	– – – ძროხები	ცალი
0102 21 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0102 29	– – დანარჩენი:	
0102 29 050 00	– – – Bibos ან Poephagus ჯიშების	ცალი
	– – – დანარჩენი:	
0102 29 100 00	– – – – მასით არა უმეტესი 80 კგ-ისა	ცალი
	– – – – მასით 80 კგ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტესი 160 კგ-ისა:	
0102 29 210 00	– – – – – საკლავი	ცალი
0102 29 290 00	– – – – – დანარჩენი	ცალი
	– – – – მასით 160 კგ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტესი 300 კგ-ისა:	
0102 29 410 00	– – – – – საკლავი	ცალი
0102 29 490 00	– – – – – დანარჩენი	ცალი
	– – – – მასით 300 კგ-ზე მეტი:	
	– – – – – უშობლები (დედალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი პირველ მოგებამდე):	
0102 29 510 00	– – – – – – საკლავი	ცალი
0102 29 590 00	– – – – – – დანარჩენი	ცალი
	– – – – – ძროხები:	
0102 29 610 00	– – – – – – საკლავი	ცალი
0102 29 690 00	– – – – – – დანარჩენი	ცალი
	– – – – – დანარჩენი:	
0102 29 910 00	– – – – – – საკლავი	ცალი
0102 29 990 00	– – – – – – დანარჩენი	ცალი
	– კამეჩები:	
0102 31 000 00	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
0102 39	– – დანარჩენი:	
0102 39 100 00	– – – შინაური სახეობები	ცალი
0102 39 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0102 90	– დანარჩენი:	
0102 90 200 00	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
	– – დანარჩენი:	
0102 90 910 00	– – – შინაური სახეობები	ცალი
0102 90 990 00	– – – დანარჩენი	ცალი
0103	**ღორები ცოცხალი:**	
0103 10 000 00	– წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
	– დანარჩენი:	
0103 91	– – მასით 50 კგ-ზე ნაკლები:	
0103 91 100 00	– – – შინაური სახეობები	ცალი
0103 91 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0103 92	– – მასით 50 კგ ან მეტი:	
	– – – შინაური სახეობები:	

0103 92 110 00	– – – – დედალი ღორები მასით არა ნაკლები 160 კგ-ისა, რომლებსაც ერთხელ მაინც დაუყრიათ გოჭები	ცალი
0103 92 190 00	– – – – დანარჩენი	ცალი
0103 92 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0104	**ცხვრები და თხები ცოცხალი:**	
0104 10	– ცხვრები:	
0104 10 100 00	– – წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
	– – დანარჩენი:	
0104 10 300 00	– – – ბატკნები (ერთ წლამდე)	ცალი
0104 10 800 00	– – – დანარჩენი	ცალი
0104 20	– თხები:	
0104 20 100 00	– – წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
0104 20 900 00	– – დანარჩენი	ცალი
0105	**შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი *(Gallus domesticus)*, იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები:**	
	– მასით არა უმეტესი 185 გ-ისა:	
0105 11	– – შინაური ქათამი (Gallus domesticus):	
	– – – წინაპართა და დედობრივი შტოების სანაშენე წიწილები:	
0105 11 110 00	– – – – კვერცხმდებლების შტოები	ცალი
0105 11 190 00	– – – – დანარჩენი	ცალი
	– – – დანარჩენი:	
0105 11 910 00	– – – – კვერცხმდებლების შტოები	ცალი
0105 11 990 00	– – – – დანარჩენი	ცალი
0105 12 000 00	– – ინდაურები	ცალი
0105 13 000 00	– – ბატები	ცალი
0105 14 000 00	– – იხვები	ცალი
0105 15 000 00	– – ციცრები	ცალი
	– დანარჩენი:	
0105 94 000 00	– – შინაური ქათამი (Gallus domesticus)	ცალი
0105 99	– – დანარჩენი:	
0105 99 100 00	– – – იხვები	ცალი
0105 99 200 00	– – – ბატები	ცალი
0105 99 300 00	– – – ინდაურები	ცალი
0105 99 500 00	– – – ციცრები	ცალი
0106	**ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:**	
	– ძუძუმწოვრები:	
0106 11 00	– – პრიმატები:	
0106 11 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 11 009 00	– – – დანარჩენი	ცალი
0106 12 00	– – ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები *Cetacea* რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები *Sirenia* რიგისა); სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები (ძუძუმწოვრები *Pinnipedia* ქვერიგისა):	
0106 12 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 12 009 00	– – – დანარჩენი	ცალი
0106 13	– – აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი (Camelidae):	
0106 13 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 13 009 00	– – – დანარჩენი	ცალი

0106 14	– – ბოცვერები და კურდღლები:	
0106 14 10	– – – ბოცვრები შინაური:	
0106 14 101 00	– – – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 14 109 00	– – – – დანარჩენი	ცალი
0106 14 90	– – – დანარჩენი:	
0106 14 901 00	– – – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 14 909 00	– – – – დანარჩენი	—
0106 19	– – დანარჩენი:	
0106 19 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 19 009 00	– – – დანარჩენი	—
0106 20 00	– რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით):	
0106 20 001 00	– – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 20 009 00	– – დანარჩენი	ცალი
	– ფრინველები:	
0106 31 00	– – მტაცებელი ფრინველები:	
0106 31 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 31 009 00	– – – დანარჩენი	ცალი
0106 32 00	– – თუთიყუშისებრნი (თუთიყუშების, გრძელკუდა თუთიყუშების, არასა და კაკადუს ჩათვლით):	
0106 32 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 32 009 00	– – – დანარჩენი	ცალი
0106 33	– – სირაქლემები; ემუ (Dromaius novaehollandiae):	
0106 33 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	ცალი
0106 33 009 00	– – – დანარჩენი	ცალი
0106 39	– – დანარჩენი:	
0106 39 100 00	– – – მტრედები	ცალი
0106 39 80	– – – დანარჩენი:	
0106 39 801 00	– – – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 39 809 00	– – – – დანარჩენი	—
	– მწერები:	
0106 41	– – ფუტკრები:	
0106 41 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 41 009 00	– – – დანარჩენი	—
0106 49	– – დანარჩენი:	
0106 49 001 00	– – – სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 49 009 00	– – – დანარჩენი	—
0106 90 00	– დანარჩენი:	
0106 90 001 00	– – ცხოველები სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის	—
0106 90 009 00	– – დანაჩენი	—

ჯგუფი 02
ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები

შენიშვნა:

მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) 0201–0208 ან 0210 სასაქონლო პოზიციების პროდუქტები, ადამიანის საკვებად უვარგისი;

ბ) ცხოველების ნაწლავები, ბუშტები ან კუჭები (სასაქონლო პოზიცია 0504) ან ცხოველების სისხლი (სასაქონლო პოზიცია 0511 ან 3002); ან

გ) ცხოველური ცხიმები, გარდა 0209 სასაქონლო პოზიციის პროდუქტებისა (ჯგუფი 15).

დამატებითი შენიშვნები:

1A. ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაუფეშხოებელი ნაკლავი“ 0201 10 და 0202 10 სუბპოზიციებში – დაკლული ცხოველების მთლიანი ნაკლავი სისხლისგან დაცლის, გამოშიგვნისა და გატყავების შემდეგ, იმპორტირებადი თავით ან თავის გარეშე, ფეხებით ან უფეხებოდ, სხვა მოუცილებელი სუბპროდუქტებით ან მათ გარეშე. თუ დაუფეშხოებელი ნაკლავის იმპორტირება ხდება თავის გარეშე, მაშინ ეს უკანასნელი მოჭრილი უნდა იყოს ატლანტოკეფური სახსრის არეში. დაუფეშხოებელი ნაკლავის უფეხებოდ იმპორტირებისას უკანასკნელი მოჭრილი უნდა იყოს წინა ტერფისწინატერფის ან უკანა ტერფისწინატერფის სახსარში; „დაუფეშხოებელი ნაკლავი“ უნდა შეიცავდეს დაუფეშხოებელი ნაკლავის წინა ნაწილს ყველა ძვლითა და გადანაჭრით, ამასთან, კისრის ნაწილი და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდე უნდა შეიცავდნენ 10-ზე მეტ წყვილ ნეკნს;

ბ) „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაფეშხოებული ნაკლავი“ 0201 10 და 0202 10 სუბპოზიციებში – პროდუქტი, მიღებული დაუფეშხოებელი ნაკლავის კისრის, მკერდის, წელისა და გავის ხერხემლის, აგრეთვე მკერდის ძვლისა და საჯდომ-ბოქვენის შენაზარდის ცენტრებზე სიმეტრიული გაჩეხვით; ,,დაფეშხოებული ნაკლავი“ უნდა შეიცავდეს დაფეშხოებული ნაკლვის წინა ნაწილს ყველა ძვლითა და გადანაჭრით, ამასთან, კისრის ნაწილი და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდე უნდა შეიცავდეს 10-ზე მეტ ნეკნს;

გ) „კომპენსირებული ნაოთხალები“ 0201 20 200 და 0202 20 100 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის ნაწილი, რომელიც შედგება:

– ან მეათე ნეკნის დონეზე ჩამოჭრილი წინა ნაოთხალისაგან, ყველა ძვლითა და გადანაჭრით, კისრის ნაწილითა და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდით ყველა ძვლითა და გადანაჭრით, და მესამე ნეკნის დონეზე ჩამოჭრილი უკანა ნაოთხალისაგან ყველა ძვლით, ბარძაყითა და ჩალაღაჯით;

– ან მეხუთე ნეკნის დონეზე მთელი მუცლის ნაწილითა და მკერდით ჩამოჭრილი წინა ნაოთხალისაგან, კისრის ნაწილითა და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდით და მერვე ნეკნის დონეზე ჩამოჭრილი უკანა ნაოთხალისაგან ყველა ძვლით, ბარძაყითა და ჩალაღაჯით;

„კომპენსირებული ნაოთხალების“ შემადგენელი წინა და უკანა ნაოთხალების მიწოდება საიმპორ-ტოდ უნდა ხდებოდეს ერთდროულად და თანაბარი რაოდენობით, ისე, რომ წინა ნაოთხალების საერთო მასა ტოლი უნდა იყოს უკანა ნაოთხალების საერთო მასისა. ამასთან დასაშვებია საქონლის პარტიის ორი ნაწილის მასებს შორის გარკვე-ული სხვაობა პარტიის უფრო მძიმე ნაწილის (წინა ან უკანა ნაოთხალების) მასის არა უმეტესი 5% -ისა;

დ) „გაუყოფელი წინა ნაოთხალები“ 0201 20 300 და 0202 20 300 ქვესუბპოზიციებში – დაუფეშხოებელი ნაკლავის წინა ნაწილი ყველა ძვლითა და გადანაჭრით, კისრის ნაწილითა და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდით, რომელიც შეიცავს ნეკნების მინიმუმ ოთხ და მაქსიმუმ ათ წყვილს (ნეკნების პირველი ოთხი წყვილი მთლიანი უნდა იყოს, დანარჩენები შეიძლება იყოს გაჩეხილი), მუცლის ნაწილით ან მუცლის ნაწილის გარეშე;

ე) „გაყოფილი წინა ნაოთხალები“ 0201 20 300 და 0202 20 300 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის წინა ნაწილი ყველა ძვლითა და გადანაჭრით, კისრის ნაწილით და ბეჭის ნაწილის ნეკნების კიდით, რომელიც შეიცავს მინიმუმ ოთხ და მაქსიმუმ ათ ნეკნს (პირველი ოთხი

ნეკნი უნდა იყოს მთლიანი, დანარჩენი შეიძლება იყოს გაჩეხილი), მუცლის ნაწილით ან მუცლის ნაწილის გარეშე;

ვ) „გაუყოფელი უკანა ნაოთხალები“ 0201 20 500 და 0202 20 500 ქვესუბპოზიციებში – დაუფეშხოებელი ნაკლავის უკანა ნაწილი ყველა ძვლით, ბარძაყითა და ჩალაღაჯით, სუკის ნაწილის ჩათვლით, რომელიც შეიცავს მთლიანი ან გაჩეხილი ნეკნების მინიმუმ სამ წყვილს, კანჭით ან კანჭის გარეშე, მუცლის ნაწილით ან მუცლის ნაწილის გარეშე;

ზ) „გაყოფილი უკანა ნაოთხალები“ 0201 20 500 და 0202 20 500 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის უკანა ნაწილი ყველა ძვლით, ბარძაყითა და ჩალაღაჯით, სუკის ნაწილის ჩათვლით, რომელიც შეიცავს სამ მთლიან ან გაჩეხილ ნეკნს, კანჭით ან კანჭის გარეშე, მუცლის ნაწილით ან მუცლის ნაწილის გარეშე;

თ) 1. გადანაჭრები „ბეჭი“ და „ბეჭის ნაწილი სხივის ძვლით“ 0202 30 500 ქვესუბპოზიციაში – წინა ნაოთხალის ზურგის ნაწილი, ბეჭის ნაწილის ხერხემლის კიდის ჩათვლით, მიღებული მინიმუმ ოთხი და მაქსიმუმ ათნეკნიანი წინა ნაოთხალისგან დაუფეშხოებელი ნაკლავის გაჩეხვის გზით სწორი ხაზის გასწვრივ პირველი ნეკნის მკერდის ძვლის პირველ სეგმენტთან შენაწევრების წერტილიდან მეათე ნეკნზე დიაფრაგმის გადანაკეცის წერტილამდე;

2. გადანაჭერი „მკერდი“ 0202 30 500 ქვესუბპოზიციაში – წინა ნაოთხალის ქვედა ნაწილი, მკერდის წინა კიდის და მკერდის უკანა კიდის ჩათვლით.

1B. პროდუქტები მოხსენებული მოცემული ჯგუფის 1A ა) – გ) დამატებით შენიშვნებში შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი როგორც ხერხემალთან ერთად, ასევე მის გარეშე.

1C. 1A პუნქტის შესაბამისად მთლიანი ან გაჩეხილი ნეკნების რაოდენობის განსაზღვრისას იანგარიშება მხოლოდ ის ნეკნები, რომლებიც არ არიან მოცილებული ხერხემლისაგან. ხერხემლის არარსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ მთელი ან გაჩეხილი ნეკნები, რომლებიც ამოცლილ ხერხემალზე იყო მიერთებული.

2A. ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) „დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი“ 0203 11 100 და 0203 21 100 ქვესუბპოზიციებში – დაკლული ღორები შინაური ღორების დაუფეშხოებელი ნაკლავის სახით სისხლისაგან დაცლის, გამოშიგნვის, ჯაგრისა და ჩლიქების მოშორების შემდეგ. დაფეშხოებულ ნაკლავს ღებულობენ მთლიანი დაუფეშხოებელი ნაკლავის გაჩეხვით კისრის, მკერდის, წელისა და გავის ყველა მალის ცენტრზე, აგრეთვე მკერდის ძვლის და საჯდომ-ბოქვენის შენაზარდის ცენტრზე. როგორც დაუფეხშოებელი, ისე დაფეშხოებული ნაკლავი შეიძლება იყოს თავით ან უთავოდ, ფეხებით, თირკმლის ქონით, თირკმე-ლებით, კუდით, დიაფრაგმით ან მათ გარეშე. დაფეშხოებულ ნაკლავს შეიძლება ამოცლილი ან ამოუცლელი ჰქონდეს ზურგის ტვინი, თავის ტვინი და ენა. დაუფეშხოებელ და დაფეშხოებულ დედა ღორების ნაკლავს შეიძლება დატოვებული ან მოშორებული ჰქონდეს ცური (სარძევე ჯირკვლები);

ბ) „ბარკალი“ (უკანა ბარკალი) 0203 12 110, 0203 22 110, 0210 11 110 და 0210 11 310 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის უკანა (კუდის) ნაწილი, ძვლების ჩათვლით, ფეხით და უფეხოდ, კანჭით, ტყავითა და კანქვეშა ქონით ან მათ გარეშე.

ბარკალი (უკანა ბარკალი) დაფეშხოებული ნაკლავისაგან გამოიყოფა იმ ხაზის გასწვრივ, რომელიც მოიცავს, ყველაზე მეტი, წელის უკანასკნელ მალას;

გ) „წინა კიდე“ 0203 19 110, 0203 29 110, 0210 19 300 და 0210 19 600 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის წინა (თავის) ნაწილი თავის გარეშე, ძვლების ჩათვლით, ფეხით, ბეჭის ჩამონაჭრით, ტყავითა და კანქვეშა ქონით ან მათ გარეშე.

წინა კიდე დაფეშხოებული ნაკლავისაგან გამოიყოფა იმ ხაზის გასწვრივ, რომელიც მოიცავს, ყველაზე მეტი, მკერდის მეხუთე მალას.

წინა კიდის ზედა (ზურგის) ნაწილი, რომელიც შეიცავს ან არ შეიცავს ბეჭის ძვალს მიმაგრებული კუნთებით (კისრის ნაწილი და გადანაჭერი ახალი ხორცის სახით ან საბეკონე ნახევრის კისრის ნაწილი დამარილებული სახით), ითვლება ბარკლის ჩამონაჭრად, თუ იგი გამოეყოფა წინა კიდის ქვედა (მუცლის) ნაწილს, ყველაზე მეტი, იმ ხაზის გასწვრივ გაჩეხვით, რომელიც გადის უშუალოდ ხერხემლის ქვეშ;

დ) „ბეჭი“ (წინა ბარკალი), 0203 12 190, 0203 22 190, 0210 11 190 და 0210 11 390 ქვესუბპოზიციებში – წინა კიდის ქვედა ნაწილი, რომელიც შეიცავს ან არ შეიცავს ბეჭის ძვალს მასზე მიმაგრებული კუნთებით, ძვლების ჩათვლით, ბეჭის ჩამონაჭრით, ტყავითა და კანქვეშა ქონით ან მათ გარეშე.

ბეჭის ძვალი მასზე მიმაგრებული კუნთებით, რომლის იმპორტირება ცალკე ხდება, მიეკუთვნება მოცემულ სასაქონლო პოზიციას, როგორც წინა ბარკლის ნაწილი;

ე) „ზემო მკერდი“ (კორეიკა) 0203 19 130, 0203 29 130, 0210 19 400 და 0210 19 700 ქვესუბპოზიციებში – დაფეშ-ხოებული ნაკლავის ზედა ნაწილი კისრის პირველი მალიდან კუდის მალებამდე, ძვლების ჩათვლით, სუკით, ბეჭის ძვლით, კანქვეშა ქონით, ტყავითა ან მათ გარეშე.

ზემო მკერდი (კორეიკა) დაფეშხოებული ნაკლავის ქვედა ნაწილისაგან გამოიყოფა უშუალოდ ხერხემლის ქვეშ გამავალ ხაზზე გაჩეხვით;

ვ) „მკერდი“ 0203 19 150, 0203 29 150, 0210 12 110 და 0210 12 190 ქვესუბპოზიციებში

– დაფეშხოებული ნაკლავის ქვედა ნაწილი, მოთავსებული უკანა ბარკალსა და წინა ბარკალს შორის, ჩვეულებრივ ცნობილი სახელით „სტრიკი“ [საბეკონე ნახევრის მკერდის ნაწილი], ძვლებით ან უძვლოდ, მაგრამ კანით და კანქვეშა ქონით;

ზ) „საბეკონე ნახევარი“ 0210 19 100 ქვესუბპოზიცაში – ღორის დაფეშხოებული ნაკლავი თავის, ყბის, ფერდების, ფეხების, კუდის, თირკმლის ქონის, თირკმელის, სუკის, ბეჭის ძვლის, მკერდის ძვლის, ხერხემლის, თეძოს ძვლისა და დიაფრაგმის გარეშე;

თ) „სპენსერი“ 0210 19 100 ქვესუბპოზიცაში – საბეკონე ნახევარი უკანა ბარკლის გარეშე, ძვლებგამოცლილი ან ძვლებგამო-უცლელი;

ი) „ღორის ფერდის 3/4" ,, 0210 19 200 ქვესუბპოზიცაში – საბეკონე ნახევარი წინა კიდის გარეშე, ძვლებგამოცლილი ან ძვლებგამოუცლელი;

კ) „ღორის შუა ნაწილი“ 0210 19 200 ქვესუბპოზიციაში – საბეკონე ნახევარი უკანა ბარკლის და წინა კიდის გარეშე, ძვლებგამოცლილი ან ძვლებგამოუცლელი;

მოცემულ ქვესუბპოზიციაში ჩაირთვება აგრეთვე ღორის შუა ნაწილის გადანაჭრები, რომლებიც შეიცავენ ზემო მკერდის („კორეიკა“) და მკერდის ქსოვილებს, ღორის შუა ნაწილში მთლიანად მათი ბუნებრივი შემცველობის პროპორციულად.

2B. 2A(ვ) პუნქტში აღნიშნული გადანაჭრების ნაწილები ერთსა და იმავე სუბპოზიციებში ხვდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიცავენ კანს და კანქვეშა ცხიმს.

თუ 0210 11 110 და 0210 11 190, აგრეთვე 0210 11 310, 0210 11 390, 0210 19 300 და 0210 19 600 ქვესუბპოზი-ციებში მოხვედრილი გადანაჭრები მიღებულია საბე-კონე ნახევრისაგან, რომელსაც უკვე მოცილებული აქვს 2A (ზ) პუნქტში დასახელებული ძვლები, მაშინ დაჭრის ხაზები უნდა გადიოდნენ შესაბამისად 2A (ბ, გ, დ) პუნქტებში აღნიშნულ ხაზებზე; ნებისმიერ შემთხვევაში ეს გადანაჭრები ან მათი ნაწილები უნდა შეიცავდნენ ძვლებს.

2C. 0206 49 00 და 0210 99 490 ქვესუბპოზიციები უნდა ჩაირთოს, კერძოდ, შინაური ღორების თავები ან თავების ნახევრები, ტვინით, ყბით ან ენით ან მათ გარეშე და მათი ნაწილები.

თავის მოცილება დანარჩენი დაფეშხოებული ნაკლავისაგან ხდება:

- თავის პირდაპირი მოჩეხვით თავის ქალის პარალელურად; ან

თავის მოჩეხვით თავის ქალის პარალელურად თვალების დონემდე და შემდეგ ცერად წინა მხარესთან მიმართებაში, ისე რომ ყბები მიმაგრებული დარჩეს დაფეშხოვებულ ნაკლავზე.

ყბები, ღორის დინგები და ყურები, აგრეთვე თავის მიმდებარე რბილობი, კერძოდ კეფის მხრიდან (ყბების ჩათვლით), მიეკუთვნებიან თავის ნაწილებს. წინა კიდის უძვლო ხორცი (ყბების ჩათვლითხვდება 0203 19 550, 0203 29 550, 0210 19 500 ან 0210 19 810 ქვესუბპოზიციებში) კონკრეტული პირო-ბების გათვალისწინებით.

2D. „ღორის კანქვეშა ქონი“ 0209 10 110 და 0209 10 190 ქვესუბპოზიციებში აღნიშნავს ცხოველის კანის ქვეშ დაგროვილ ცხიმს და მასთან დაკავშირებულ ცხიმოვან ქსოვილებს, მიუხედავად იმისა, თუ დაუფეშხოებელი ნაკლავის რომელი ნაწილისაგან არის მიღებული; ნებისმიერ შემთხვევაში ცხიმოვანი ქსოვილების მასა უნდა აღემატებოდეს ტყავის მასას.

ამ ქვესუბპოზიციებში ჩაირთვება აგრეთვე ტყავისგან მოცილებული ღორის კანქვეშა ქონიც.

2E. 0210 11 310, 0210 11 390, 0210 12 190 და 0210 19 600–0210 19 890 ქვესუბპოზიციებში პროდუქტები, რომელთაც ხორცში შეფარდება წყალი/ცილა ტოლი ან ნაკლები აქვთ 2,8-ზე (ცილა = აზოტის შემცველობა x 6,25), ითვლება „გაუწყლოებულად ან შებოლილად“.

3A. 0204 სასაქონლო პოზიციაში გამოყენებული შემდეგი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) „დაუფეშხოებელი ნაკლავი“ 0204 10, 0204 21, 0204 30, 0204 41 სუბპოზიციებში და 0204 50 110 და 0204 50 510 ქვესუბპოზიციებში ჩართული – დაკლული ცხოველების მთლიანი დაუფეშხოებელი ნაკლავი სისხლისგან დაცლის, გამოშიგვნის და გატყავების შემდეგ, იმპორტირებადი თავიანად ან თავის გარეშე, ფეხებით ან უფეხებოდ, სხვა მოუცილებელი სუბპროდუქტებით ან მათ გარეშე. თუ დაუფეშხოებელი ნაკლავის იმპორტირება ხდება თავის გარეშე, მაშინ ეს უკანასკნელი მოჭრილი უნდა იყოს ატლანტოკეფური სახსრის არეში. დაუფეშხოებელი ნაკლავის უფეხებოდ იმპორტირებისას, ფეხები მოჭრილი უნდა იყოს მაჯამტევნის ან ტერფისწინა-ტერფის სახსარში;

ბ) „დაფეშხოებული ნაკლავი“ 0204 10, 0204 21, 0204 30, 0204 41 სუბპოზიციებში და 0204 50 110 და 0204 50 510 ქვესუბპოზიციებში – პროდუქტი, რომელიც მიიღება მთლიანი დაუფეშხოებელი ნაკლავის კის-რის, მკერ-დის, წელისა და გავის ყველა მალის, აგრეთვე მკერდის ძვლისა და საჯდომბოქვენის შენაზარდის ცენტრებზე სიმეტრიული გაჩეხვის შედეგად;

გ) „მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალები“ 0204 22 100, 0204 42 100, 0204 50 130 და 0204 50 530 ქვესუბპოზიციებში – დაუფეშხოებელი ნაკლავის წინა ნაწილი მკერდით ან მკერდის გარეშე, ყველა ძვლითა და ბეჭებით, ბეჭის ჩამონაჭრით, კისრის ჩამონაჭრით, და ზურგ-კისრის ნაწილით, ხერხემლის მიმართ სწორი კუთხით ჩამოჭრილი, რომელიც შეიცავს მინიმუმ ხუთ და მაქსიმუმ შვიდ წყვილ მთელ ან გაჩეხილ ნეკნს;

დ) „მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალი“ 0204 22 100, 0204 42 100, 0204 50 130 და 0204 50 530 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის წინა ნაწილი მკერდით ან მკერდის გარეშე, ყველა ძვლითა და ბეჭით, ბეჭის ჩამონაჭრით, კისრის ჩამონაჭრით, და ზურგ-კისრის ნაწილით, ხერხემლის მიმართ სწორი კუთხით ჩამოჭრილი, რომელიც შეიცავს მინიმუმ ხუთ და მაქსიმუმ შვიდ მთელ ან გაჩეხილ ნეკნს;

ე) „ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეები და/ან თირკმელის ნაწილები“ – 0204 22 300, 0204 42 300, 0204 50 150 და 0204 50 550 ქვესუბპოზიციებში – დაუფეშხოებელი ნაკლავის დარჩენილი ნაწილი, მისგან მენჯ-ბარძაყის ნაწილების კანჭებით და მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალების თირკმლებით ან მათ გარეშე მოცილების შემდეგ; თირკმლის ნაწილისაგან მოცილებისას ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეებს უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ ხუთი წელის მალა; ხერ-ხემლის

კიდეებისგან მოცილების შემდეგ თირკმლის ნაწილებს უნდა ჰქონდეთ არანაკ-ლებ ხუთი წყვილი მთელი ან გაჩეხილი ნეკნი;

ვ) „ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდე და/ან თირკმლის ნაწილი“ – 0204 22 300, 0204 42 300, 0204 50 150 და 0204 50 550 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის დარჩენილი ნაწილი, მისგან მენჯ-ბარძაყის ნაწილის კანჭით და მოკლე წინა ნაოთხალების თირკმლით ან მის გარეშე მოცილების შემდეგ; თირკმლის ნაწილისაგან მოცილებისას ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ხუთი წელის მალა; თირკმლის ნაწილს ხერხემლის კიდისგან მოცილების შემდეგ უნდა ჰქონდეს მინიმუმ ხუთი მთელი ან გაჩეხილი ნეკნი;

ზ) „მენჯ-ბარძაყის ნაწილები კანჭებით“ – 0204 22 500, 0204 42 500, 0204 50 190 და 0204 50 590 ქვესუბპოზიციებში – დაუფეშხოებელი ნაკლავის უკანა ნაწილი, ყველა ძვლისა და უკანა კანჭების ჩათვლით, ჩამოჭრილი სწორი კუთხით ხერხემლის მიმართ წელის მეექვსე მალის დონეზე უშუალოდ დიაფრაგმის ქვეშ ან გავის მეოთხე მალის დონეზე დიაფრაგმის გავლით საჯდომ-ბოქვენის შენაზარდის მიმართულებით;

თ) „მენჯ-ბარძაყის ნაწილი კანჭებით“ 0204 22 500, 0204 42 500, 0204 50 190 და 0204 50 590 ქვესუბპოზიციებში – დაფეშხოებული ნაკლავის უკანა ნაწილი, ყველა ძვლისა და უკანა კანჭის ჩათვლით, ჩამოჭრილი სწორი კუთხით ხერხემლის მიმართ წელის მეექვსე მალის დონეზე უშუალოდ დიაფრაგმის ქვეშ ან გავის მეოთხე მალის დონეზე დიაფრაგმის გავლით საჯდომ-ბოქვენის შენაზარდის მიმართულებით;

3B. მთელი ან გაჩეხილი ნეკნების რიცხვის განსაზღვრისას, 3A პუნქტის შესაბამისად, სათვალავში მიიღება მხოლოდ ხერხემალზე მიმაგრებული ნეკნები.

4. ქვემოთ მოყვანილი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) „დაუფეშხოებელი ნაკლავის ძვლებგამოუცლელი ნაწილები“ 0207 13 200 – 0207 13 600, 0207 14 200 – 0207 14 600, 0207 26 200 – 0207 26 700, 0207 27 200 – 0207 27 700, 0207 44 210 – 0207 44 610, 0207 45 210 – 0207 45 610, 0207 54 210 – 0207 54 610, 0207 55 210 – 0207 55 610 და 0207 60 210 – 0207 60 610 ქვესუბპოზიციებში – ნაწილები, ყველა ძვლის ჩათვლით;

(ა) პუნქტში აღწერილი დაუფეშხოებელი ნაკლავის ნაწილები, ოღონდ ნაწილობრივ ძვლებგაცლილი, ჩართულია 0207 13 70, 0207 14 70, 0207 26 80, 0207 27 80, 0207 44 71, 0207 44 81, 0207 45 71, 0207 45 81, 0207 54 71, 0207 54 81, 0207 55 71, 0207 55 81 და 0207 60 81 ქვესუბპოზიციებში;

ბ) „ნახევრები“ – 0207 13 20, 0207 14 20, 0207 26 20, 0207 27 20, 0207 44 21, 0207 45 21, 0207 54 21, 0207 55 21 და 0207 60 21 ქვესუბპოზიციებში – შინაური ფრინველის ნაკლავის ნახევრები, მიღებული მკერდისა და ხერხემლის გასწვრივ გაჭრის გზით;

გ) „ნაოთხალები“ – 0207 13 20, 0207 14 20, 0207 26 20, 0207 27 20, 0207 44 21, 0207 45 21, 0207 54 21, 0207 55 21 და 0207 60 21 ქვესუბპოზიციებში – მკერდის ნაოთხალები და ბარკლის ნაოთხალები, მიღებული ნახევრების გაჭრით;

დ) „ფრთები მთლიანი, წვრილი ბოლოებით ან მათ გარეშე“ 0207 13 30, 0207 14 30, 0207 26 30, 0207 27 30, 0207 44 31, 0207 45 31, 0207 54 31, 0207 55 31 და 0207 60 31 ქვესუბპოზიციებში – შინაური ფრინველის ნაკლავის ნაწილი, რომელიც მოიცავს მხრის, სხივის, იდაყვის ძვლებს მათი მიმდებარე კუნთებით. წვრილი ბოლო, რომელიც მოიცავს მტევნის ძვალს, შეიძლება მოცილებულ იქნეს. მოცემული გადანაჭერი მოცილებული უნდა იყოს შინაური ფრინველის ნაკლავისაგან სახსრებით;

ე) „მკერდები“ 0207 13 50, 0207 14 50, 0207 26 50, 0207 27 50, 0207 44 51, 0207 45 51, 0207 54 51, 0207 55 51 და 0207 60 51 ქვესუბპოზიციებში – შინაური ქათმის ნაკლავის ნაწილი, რომელიც მოიცავს მკერდის ძვალსა და ნეკნებს მისი ორივე მხრიდან, მიმდებარე კუნთებით;

ვ) „ბარკლები“ 0207 13 60, 0207 14 60, 0207 44 61, 0207 45 61, 0207 54 61, 0207 55 61 და 0207 60 61 ქვესუბპოზიციებში – შინაური ფრინველის ნაკლავის ნაწილები, რომლებიც მოიცავენ დიდი კანჭისა და პატარა კანჭის ძვლებს მიმდებარე კუნთებით. მოცემული გადანაჭერი მოცილებული უნდა იყოს შინაური ფრინველის ნაკლავისაგან სახსრებით;

ზ) „ინდაურის კანჭები“ 0207 26 600 და 0207 27 600 ქვესუბპოზიციებში – ინდაურის ნაჭრები, რომლებიც მოიცავენ დიდი კანჭისა და პატარა კანჭის ძვლებს მიმდებარე კუნთებით. მოცემული გადანაჭერი მოცილებული უნდა იყოს შინაური ფრინველის ნაკლავისაგან სახსრებით;

თ) „ინდაურის ფეხები, გარდა კანჭებისა“ 0207 26 700 და 0207 27 700 ქვესუბპოზიციებში – ინდაურის ნაჭრები, რომელებიც მოიცავენ თეძოს მიმდებარე კუნთებით ან თეძოს დიდი კანჭისა და პატარა კანჭის ძვლებითა და მიმდებარე კუნთებით. მოცემული გადანაჭერი მოცილებული უნდა იყოს შინაური ფრინველის ნაკლავისაგან სახსრებით;

ი) „ბატის ან იხვის პალეტოტები“ 0207 44 71, 0207 45 71, 0207 54 71 და 0207 55 71 ქვესუბპოზიციებში – ბატებისა ან იხვების ნაკლავი, გაპუტული და მთლიანად გამოშიგნული, თავებისა და ფეხის ტერფების გარეშე, ჩონჩხის ძვლების (მკერდის ძვლის, ნეკნების, ხერხემლისა და გავის) მოცილების შემდეგ, მაგრამ თეძოს ძვლის, დიდი კანჭის ძვლისა და მხრის ძვლის შენარჩუნებით.

5. მოცემული ჯგუფის ნარევებისათვის ბაჟის სიდიდე უნდა გამოითვლებოდეს შემდეგნაირად:

ა) ნარევებისათვის, რომლებშიც ერთ-ერთი კომპონენტი შეადგენს არანაკლებ 90 მას.%-ისა, გამოიყენება ამ კომპონენტისათვის დაწესებული საბაჟო გადასახადის განაკვეთი;

ბ) სხვა ნარევებისათვის გამოიყენება იმ კომპონენტის საბაჟო გადასახადის განაკვეთი, რომელიც იძლევა ყველაზე დიდ გადასახადს.

6A. ხორცი სანელებლებით თბური კულინარული დამუშავების გარეშე ჩაირთვება 16 ჯგუფში. „ხორცი სანელებლებით“ არ უნდა ექვემდებარებოდეს თბურ კულინარულ დამუშავებას, ამასთან სანელებელი უნდა იყოს ან პროდუქტის შიგნით ან მთელ ზედაპირზე, და ის ან უნდა ჩანდეს შეუიარაღებელი თვალით ან ადვილად განისაზღვრებოდეს გემოთი.

6B. 0210 სასაქონლო პოზიციის პროდუქტები, შენელებული დამზადების პროცესში, ჩაირთვებიან მოცემულ სასაქონლო პოზიციაში იმ პირობით, რომ სანელებლის დამატებამ არ შეცვალა პროდუქტის განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

7. 0210 11 – 0210 93 სასაქონლო სუბპოზიციებში ტერმინები „ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული ან მარილ-წყალში“ აღნიშნავს ხორცს და საკვებად ვარგის სუბპროდუქტებს, მარილით თანაბრად გაჟღენთილს, მარილის საერთო შემცველობით არანაკლებ 1,2 მას.%.-ისა იმ პირობით, რომ მარინადი უზრუნველყოფს დიდხანს შენახვას. 0210 99 სასაქონლო სუბპოზიციაში ტერმინები „ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული ან მარილ-წყალში“ აღნიშნავს ხორცს და საკვებად ვარგის სუბპროდუქტებს, მარილით თანაბრად გაჟღენთილს, მარილის საერთო შემცველობით არანაკლებ 1,2 მას.%.-ისა.

სეს ესნ კოდი	**პოზიციის დასახელება**	**დამატებითი ზომის ერთეული**
0201	**ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული:**	
0201 10 000 00	– დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	–
0201 20	– დანარჩენი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი:	

0201 20 200 00	– – ,,კომპენსირებული” ნაოთხალები	—
0201 20 300 00	– – დაუნაწევრებელი ან დანაწევრებული წინა ნაოთხალები	—
0201 20 500 00	– – დაუნაწევრებელი ან დანაწევრებული უკანა ნაოთხალები	—
0201 20 900 00	– – დანარჩენი	—
0201 30 000 00	– ძვლებგამოცლილი	—
0202	**ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული:**	
0202 10 000 00	– დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	—
0202 20	– სხვა გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი:	
0202 20 100 00	– – ,,კომპენსირებული” ნაოთხალები	—
0202 20 300 00	– – დაუნაწევრებელი ან დანაწევრებული წინა ნაოთხალები	—
0202 20 500 00	– – დაუნაწევრებელი ან დანაწევრებული უკანა ნაოთხალები	—
0202 20 900 00	– – დანარჩენი	—
0202 30	– ძვლებგამოცლილი:	
0202 30 100 00	– – წინა ნაოთხალები, მთლიანი ან დაჭრილი მაქსიმუმ ხუთ ნაჭრად, ამასთან თითოეული ნაოთხალი წარმოდგენილია ერთ ბლოკად; „კომპენსირებული“ ნაოთხალები წარმოდგენილია ორ ბლოკად, რომელთაგან ერთი შეიცავს წინა ნაოთხალს, მთლიანს ან დაჭრილს მაქსიმუმ ხუთ ნაჭრად, მეორე - უკანა ნაოთხალს, სუკის გამოკლებით, ერთ ნაჭრად	—
0202 30 500 00	– – ბეჭი და ბეჭის ნაწილი სხივის ძვლით და მკერდი	—
0202 30 900 00	– – დანარჩენი	—
0203	**ხორცი ღორისა ახალი, გაცივებული ან გაყინული:**	
	– ახალი ან გაცივებული:	
0203 11	– – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი:	
0203 11 100 00	– – – შინაური ღორების	—
0203 11 900 00	– – – დანარჩენი	—
0203 12	– – ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი:	
	– – – შინაური ღორების:	
0203 12 110 00	– – – – ბარკლები და მათი გადანაჭრები	—
0203 12 190 00	– – – – ბეჭები და მათი გადანაჭრები	—
0203 12 900 00	– – – დანარჩენი	—
0203 19	– – დანარჩენი:	
	– – – შინაური ღორების:	
0203 19 110 00	– – – – წინა კიდეები და მათი გადანაჭრები	—
0203 19 130 00	– – – – ზემო მკერდი (,,კორეიკა”) და მისი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი	—
0203 19 150 00	– – – – მკერდი შუაშრითა და მისი გადანაჭრები	—
	– – – – დანარჩენი:	
0203 19 550 00	– – – – – ძვლებგამოცლილი	—
0203 19 590 00	– – – – – დანარჩენი	—
0203 19 900 00	– – – დანარჩენი	—
	– გაყინული:	
0203 21	– – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი:	
0203 21 100 00	– – – შინაური ღორების	—
0203 21 900 00	– – – დანარჩენი	—
0203 22	– – ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი:	
	– – – შინაური ღორების:	
0203 22 110 00	– – – – ბარკლები და მათი გადანაჭრები	—
0203 22 190 00	– – – – ბეჭები და მათი გადანაჭრები	—
0203 22 900 00	– – – დანარჩენი	—
0203 29	– – დანარჩენი:	
	– – – შინაური ღორების:	
0203 29 110 00	– – – – წინა კიდეები და მათი გადანაჭრები	—
0203 29 130 00	– – – – ზემო მკერდი (,,კორეიკა”) და მისი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი	—
0203 29 150 00	– – – – მკერდი შუაშრითა და მისი გადანაჭრები	—
	– – – – დანარჩენი:	
0203 29 550 00	– – – – – ძვლებგამოცლილი	—

0203 29 590 00	– – – – – დანარჩენი	—
0203 29 900 00	– – – დანარჩენი	—
0204	**ხორცი ცხვრისა ან თხისა ახალი, გაცივებული ან გაყინული:**	
0204 10 000 00	– ბატკნების დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი, ახალი ან გაცივებული	—
	– ხორცი ცხვრისა დანარჩენი, ახალი ან გაცივებული:	
0204 21 000 00	– – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	—
0204 22	– – დანარჩენი გადანაჭრები, ძვლებგამოუცლელი:	
0204 22 100 00	– – – მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალები	—
0204 22 300 00	– – – ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეები და/ან თირკმლის ნაწილები	—
0204 22 500 00	– – – მენჯ-ბარძაყის ნაწილები კანჭებით	—
0204 22 900 00	– – – დანარჩენი	—
0204 23 000 00	– – ძვლებგამოცლილი	—
0204 30 000 00	– ბატკნების დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი, გაყინული	—
	– ცხვრის ხორცი დანარჩენი, გაყინული:	
0204 41 000 00	– – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	—
0204 42	– – გადანაჭრები დანარჩენი ძვლებგამოუცლელი:	
0204 42 100 00	– – – მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალები	—
0204 42 300 00	– – – ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეები და/ან თირკმლის ნაწილები	—
0204 42 500 00	– – – მენჯ-ბარძაყის ნაწილები კანჭებით	—
0204 42 900 00	– – – დანარჩენი	—
0204 43	– – ძვლებგამოცლილი:	
0204 43 100 00	– – – ბატკნების	—
0204 43 900 00	– – – დანარჩენი	—
0204 50	– ხორცი თხის:	
	– – ახალი ან გაცივებული:	
0204 50 110 00	– – – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	—
0204 50 130 00	– – – მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალები	—
0204 50 150 00	– – – ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეები და/ან თირკმლის ნაწილები	—
0204 50 190 00	– – – მენჯ-ბარძაყის ნაწილები კანჭებით	—
	– – – დანარჩენი:	
0204 50 310 00	– – – – გადანაჭრები ძვლებგამოუცლელი	—
0204 50 390 00	– – – – გადანაჭრები ძვლებგამოცლილი	—
	– – გაყინული:	
0204 50 510 00	– – – დაუფეშხოებელი ნაკლავი და დაფეშხოებული ნაკლავი	—
0204 50 530 00	– – – მოკლე დაჭრის წინა ნაოთხალები	—
0204 50 550 00	– – – ზურგის ნაწილის ხერხემლის კიდეები და/ან თირკმლის ნაწილები	—
0204 50 590 00	– – – მენჯ-ბარძაყის ნაწილები კანჭებით	—
	– – – დანარჩენი:	
0204 50 710 00	– – – – გადანაჭრები ძვლებგამოუცლელი	—
0204 50 790 00	– – – – გადანაჭრები ძვლებგამოცლილი	—
0205 00	**ხორცი ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული:**	
0205 00 200 00	– ახალი ან გაცივებული	—
0205 00 800 00	– გაყინული	—
0206	**საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული:**	
0206 10	– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული:	
0206 10 100 00	– – ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად	—
	– – დანარჩენი:	
0206 10 950 00	– – – მსხვილი დიაფრაგმა და წვრილი დიაფრაგმა	—
0206 10 980 00	– – – დანარჩენი	—
	– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული:	
0206 21 000 00	– – ენები	—
0206 22 000 00	– – ღვიძლი	—
0206 29	– – დანარჩენი:	
0206 29 100 00	– – – ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად	—
	– – – დანარჩენი:	
0206 29 910 00	– – – – მსხვილი დიაფრაგმა და წვრილი დიაფრაგმა	—

0206 29 990 00	– – – – დანარჩენი	—
